კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
COMPETITION AND STATE PROCUREMENT AGENCY

ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2013 წლის კონსოლიდირებული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი დიზელი (PPM 50-ზე ნაკლები)

2012 წელი 19 დეკემბერი

სარჩევი

1. შესყიდვის ობიექტი 3

2. დიზელის (PPM 50-ზე ნაკლები) 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები 3

3. დიზელის (PPM 50-ზე ნაკლები) 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადების წარდგენის ვადები და სხვა პირობები 7

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 დეკემბრის N2025 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის N25 ბრძანების საფუძველზე.

1. შესყიდვის ობიექტი

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს არანაკლებ EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი დიზელი (PPM 50-ზე ნაკლები) (შემდგომში - EURO 4 დიზელი). EURO 4 დიზელის შესყიდვის საორიენტაციო მოცულობა შეადგენს **27 024 155** ლიტრს (მათ შორის 9 000 000 ლიტრი სითხის სახით), ხოლო შემსყიდველი ორგანიზაციების საორიენტაციო რაოდენობა - **175**.

2. ნავთობპროდუქციის (საწვავის) - დიზელის (PPM 50-ზე ნაკლები) 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის პირობები

2.1 ნავთობპროდუქციის (საწვავის) – EURO 4-ის სტანდარტის შესაბამისი დიზელი (PPM 50-ზე ნაკლები) 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში (შემდგომში - კონსოლიდირებულ ტენდერი) მონაწილეობის მისაღებად დაიშვება მხოლოდ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მიმწოდებლად რეგისტრირებული მომხმარებელი.

2.2 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია მხოლოდ იმ მიმწოდებელს, რომელიც საქართველოს მასშტაბით ფლობს/სარგებლობაში აქვს (მათ შორის ფრენჩაიზინგი) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოწყობილი სულ მცირე 30 ავტოგასამართი სადგურისაგან შემდგარი ნავთობპროდუქციის (საწვავის) (შემდგომში - საწვავი) საცალო რეალიზაციის ქსელი.

2.3 მიმწოდებლის მიერ სატენდერო წინადადებასთან წარდგენილი უნდა იქნეს სულ მცირე 30 ავტოგასამართი სადგურისაგან შემდგარი საწვავის საცალო რეალიზაციის ქსელის ფლობის/სარგებლობის (მათ შორის ფრენჩაიზინგის) შესახებ ინფორმაცია, რომელიც დადასტურებული უნდა იყოს მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის მიერ.

2.4 მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საწვავის მიწოდების გეოგრაფიული დაფარვის რუქა, სადაც მითითებული უნდა იყოს ავტოგასამართი სადგურების ადგილმდებარეობა (მისამართი).

2.5 გამარჯვებულმა მიმწოდებელმა მისი გამარჯვებულად გამოვლენიდან 3 სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინოს ცნობები ბიუჯეტის წინაშე დავალიანების შესახებ და ქონებაზე საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის შესახებ. ცნობების გაცემის თარიღი უნდა იყოს არაუადრეს 2012 წლის 19 დეკემბრისა. აღნიშნული დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, ასევე იმ შემთხვევაში თუ კომისიამ მიიჩნია, რომ მითითებულ ცნობებში არსებული ინფორმაციის გათვალისწინებით მიზანშეწონილი არ არის აღნიშნულ მიმწოდებელთან EURO 4 დიზელის შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში – ხელშეკრულება) დადება, მიმწოდებელი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

2.6 კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობისათვის მიმწოდებელმა უნდა გადაიხადოს კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების წარდგენის საფასური – 5000 ლარი; ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადების წარდგენის საფასური გადახდილ უნდა იქნეს მხოლოდ ერთხელ, მიუხედავად იმისა, თუ საწვავის შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ რამდენ პროცედურაში მიიღებს მონაწილეობას

მიმწოდებელი. საფასურის გადახდა უნდა განხორციელდეს სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) შემდეგ ანგარიშზე:

მიმღების ბანკი	*ს.ს. ბანკ „რესპუბლიკის“ ცენტრალური ფილიალი*
ბანკის კოდი	*REPLGE22*
მიმღები	*სსიპ კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო*
მიმღების ანგარიში	*GE52BR0000010591718543*

2.7 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებას უნდა ახლდეს საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;

ბ) საფასურის გადამხდელი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;

2.8. გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადება ძალაშია 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.9 ყველა შემსყიდველი ორგანიზაცია, გარდა გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული შემთხვევებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა, ვალდებულია EURO 4 დიზელი შეისყიდოს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლისაგან.

2.10 იმ შემთხვევაში, როდესაც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ გამარჯვებული მიმწოდებლისაგან EURO 4 დიზელის შესყიდვა იწვევს სახელმწიფო სახსრების არარაციონალურ ხარჯვას გამარჯვებული მიმწოდებლის ავტოგასამართი სადგურისაგან შემსყიდველი ორგანიზაციის მნიშვნელოვანი დაშორების გამო, შემსყიდველი ორგანიზაცია სხვა მიმწოდებლისაგან ლოკალური აუცილებლობისათვის საჭირო მოცულობის EURO 4 დიზელის შესყიდვაზე თანხმობის მიღების მიზნით, შესაბამისი დასაბუთებით, მიმართავს ნავთობპროდუქციის (საწვავის) 2013 წლის კონსოლიდირებული ტენდერის სატენდერო კომისიას (შემდგომში - სატენდერო კომისია). სატენდერო კომისიის თანხმობის შემთხვევაში, EURO 4 დიზელის შესყიდვა ხორციელდება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2.11 კონსოლიდირებული ტენდერი ჩატარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის მეშვეობით და ელექტრონული ვაჭრობა გაიმართება 1 ლიტრი EURO 4 დიზელის ფასზე.

2.12.1 კონსოლიდირებულ ტენდერში 1 ლიტრი EURO 4 დიზელის საწყისი სავაჭრო ფასია 2.04 ლარი (ორი ლარი და ოთხი თეთრი). მინიმალური ბიჯის ოდენობა შეადგენს 1 თეთრს (0.01 ლარს).

2.12.2 კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მიმწოდებელი, რომელიც დააფიქსირებს ყველაზე დაბალ ფასს. კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილე ორი ან მეტი მიმწოდებლის მიერ თანაბარი ფასის დაფიქსირების შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება იმ მიმწოდებელს, რომელმაც პირველმა მიუთითა აღნიშნული ფასი.

2.13 გამარჯვებული მიმწოდებლის საბოლოო ფასიდან გამოითვლება „Z“ აშშ დოლარში (ტრანსპორტირებასთან, ლოჯისტიკასთან და შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები, ზედნადები ხარჯები, საწარმოს მოგება და აქციზი) შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$Z=C/(R*(D/1000)*(100\%+18\%)) - P$$

რომელშიც: C - ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასი 1 ლიტრ EURO 4 დიზელი (ლარში); R –აშშ დოლართან მიმართებაში ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის 2012 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული; D - გამარჯვებული მიმწოდებლის სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი EURO 4 დიზელის სიმკვრივის მაჩვენებელი (გრ/სმ^3); 18% - დღგ; P - PLATTS EUROPEAN MARKETSCAN-ის FOB Med (Italy) ბირჟაზე დაფიქსირებული (გამოქვეყნებული) საწვავის ერთი მეტრული ტონის 2012 წლის ნოემბრის თვის საშუალო არითმეტიკული ფასი აშშ დოლარში.

2.14 გამარჯვებული მიმწოდებლის 1 ლიტრი EURO 4 დიზელის ფასი ყოველი კალენდარული თვისათვის გამოითვლება შემდეგი ფორმულის მეშვეობით:

$$C=R*(P+Z)*(100\%+18\%)*D/1000$$

სადაც: P და R წარმოადგენს წინა კალენდარული თვის შესაბამისი მონაცემების საშუალო არითმეტიკულ სიდიდეს, ხოლო Z და D გამარჯვებულ სატენდერო წინადადებით წარმოდგენილ სიდიდეებს, რომლებიც უცვლელია 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.15 C-ს ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ R-ის ან/და P-ს ისეთი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც იწვევს C-ს სამი ან მეტი პროცენტული ოდენობით ცვლილებას EURO 4 დიზელის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფასთან მიმართებაში. ამასთან, C უნდა იყოს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში ერთი ლიტრი EURO 4 დიზელის მიწოდების კალენდარული თვის განმავლობაში არსებული ფასების საშუალო არითმეტიკულ ოდენობაზე მინიმუმ 10 თეთრით (0,1 ლარით) ნაკლები.

2.15.1 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებაში არ მოხდა დამატებითი შეთანხმების სახით C-ს ცვლილების ასახვა, ანგარიშსწორების განხორციელებისას ხელშეკრულების მხარეები ხელმძღვანელობენ გამარჯვებული მიმწოდებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული შესაბამისი თვის C-ს ოდენობით. C-ს ცვლილების შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს სატენდერო კომისიას.

2.16 კონსოლიდირებულ ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია არ გამოიყენება. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით, მიმწოდებელი კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობით კისრულობს ვალდებულებას, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით გადაიხადოს კონსოლიდირებულად შესასყიდი EURO 4 დიზელის საორიენტაციო ღირებულების 1%-ის ოდენობის თანხა იმ შემთხვევაში, თუ იგი უარს

განაცხადებს EURO 4 დიზელის შესყიდვაზე ხელშეკრულების დადებაზე ერთ ან რამდენიმე შემსყიდველ ორგანიზაციასთან. ჯარიმის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სატენდერო კომისია შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე. აღნიშნული ვალდებულება მოქმედებს 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.17 გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ კანონმდებლობითა და კონსოლიდირებული ტენდერის შედეგად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, შესაბამისი შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს სატენდერო კომისიას ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით. გადაწყვეტილების მიღების დროს სატენდერო კომისია ხელმძღვანელობს პროპორციულობის, მიზანშეწონილობისა და თანაზომიერების პრინციპებით.

2.18 სატენდერო კომისიის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ რეკომენდაციის მიღების შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია წყვეტს ხელშეკრულებას, რის შედეგად გამარჯვებულ მიმწოდებელს დაეკისრება შემსყიდველი ორგანიზაციის სასარგებლოდ საჯარიმო თანხის გადახდა, რომელიც გამოითვლება შემდეგნაირად: კონსოლიდირებულ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის დასრულების დღეს გამარჯვებული მიმწოდებლის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი EURO 4 დიზელის ფასისა და ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის სხვაობის გამრავლებით კონკრეტული ხელშეკრულებით შესასყიდი (დარჩენილი) EURO 4 დიზელის საორიენტაციო მოცულობაზე და გაყოფილი ხელშეკრულების მოქმედების ამოწურვამდე დარჩენილი თვეების რაოდენობაზე.

2.19. 2.18 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ სხვა მიმწოდებლისგან საწვავის შესყიდვის საკითხი წყდება სატენდერო კომისიის მიერ, 2.10 პუნქტის გათვალისწინებით.

2.20 გამარჯვებულმა მიმწოდებელმა არაუგვიანეს 2013 წლის 1 მარტისა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს საბარათე სისტემის დანერგვა (გარდა EURO 4 დიზელის სითხის სახით შესყიდვისა) ყველა იმ შემსყიდველ ორგანიზაციაში, რომელთანაც დადებული იქნება ხელშეკრულება. ბარათების გაცემის პრიორიტეტულობა შემსყიდველი ორგანიზაციების მიხედვით განისაზღვრება სატენდერო კომისიის მიერ.

2.20.1 გამონაკლის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია წერილობით/ელექტრონულად მიმართავს სატენდერო კომისიას EURO 4 დიზელის არასაბარათე შესყიდვის აუცილებლობის შესახებ. EURO 4 დიზელის სითხის სახით მოთხოვნის შემთხვევაში, მიწოდების წესის განსაზღვრა მოხდება შესაბამისი ხელშეკრულებით.

2.21 თითოეულმა შემსყიდველმა ორგანიზაციამ EURO 4 დიზელის ხელშეკრულების დანართის სახით უნდა წარმოადგინოს ავტომანქანების სახელმწიფო ნომერი.

2.22 შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული EURO 4 დიზელის ლიმიტები და 2.21 პუნქტში მითითებული ინფორმაცია გამარჯვებულ მიმწოდებელსა და სატენდერო კომისიას წარედგინება ურთიერთშეთანხმებული წესით.

2.23 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში და უნდა მოიცავდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის

წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში დაადასტუროს ან უარი თქვას ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებაზე შესაბამისი დასაბუთებით. ანგარიშ-ფაქტურის შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დადასტურების შემთხვევაში, ანგარიშსწორება მოხდება ყოველთვიურად მიწოდებული EURO 4 დიზელის მიხედვით გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

2.24 გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით, სატენდერო კომისიისა და მიმწოდებლის მიერ ერთობლივად შერჩეული უფლებამოსილი ლაბორატორიის მეშვეობით, ყოველკვარტალურად, სატენდერო კომისიის მიერ შერჩეული 3 ავტოგასამართი სადგურიდან უზრუნველყოს EURO 4 დიზელის სინჯის აღება და კომისიასა და მიმწოდებელს შორის შეთანხმებული პარამეტრების შემოწმება მათი დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით. სინჯის აღებას უნდა ესწრებოდეს სატენდერო კომისიისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი პირები, რომელთა თანდასწრებითაც სინჯი დაილუქება და გადაეცემა შესაბამის ლაბორატორიას.

2.25 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველ ორგანიზაციასა და გამარჯვებულ მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2.26 ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონითა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესით“ საწვავის სახელმწიფო შესყიდვის თავისებურებათა გათვალისწინებით.

2.27. ხელშეკრულებაში მითითებული შესასყიდი EURO 4 დიზელის მოცულობა, ხელშეკრულების ღირებულება და ავტომანქანების რაოდენობა საორიენტაციო ხასიათისაა და შესაძლებელია შეიცვალოს ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.

3. ნავთობპროდუქციის (საწვავის) - დიზელი (PPM 50-ზე ნაკლები) 2013 წლის კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადების წარდგენის ვადები და სხვა პირობები

3.1 კონსოლიდირებულ ტენდერში წინადადებების მიღება იწყება 2012 წლის 22 დეკემბერს და მთავრდება 2012 წლის 25 დეკემბერს. სატენდერო წინადადების განხილვა სატენდერო კომისიის მიერ ხდება გონივრულ ვადაში და შედეგები ქვეყნდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

3.2 კონსოლიდირებულ ტენდერში წარდგენილი სატენდერო წინადადება, რომელიც სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, სატენდერო კომისიის მიერ დაუშვებლად იქნება ცნობილი.

3.3. გამარჯვებული მიმწოდებელი ვალდებულია ყოველი თვის პირველ სამუშაო დღეს სატენდერო კომისიას წარუდგინოს 2.14 პუნქტით გათვალისწინებული P და R და მათ საფუძველზე გამოთვლილი მიმდინარე თვის მისაწოდებელი EURO 4 დიზელის 1 ლიტრის ფასი, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განთავსდეს გამარჯვებული მიმწოდებელის ოფიციალურ ვებგვერდზე.

3.4 სატენდერო კომისიის სახელზე კონსოლიდირებულ ტენდერთან დაკავშირებული შეტყობინებები შესაძლებელია გაიგზავნოს შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: oil2013@spa.gov.ge. აღნიშნული შეტყობინება ასევე უნდა გაიგზავნოს სატენდერო კომისიის სახელზე ოფიციალური წერილობითი ფორმით.

3.5 გამარჯვებულმა მიმწოდებელმა თავის ვებგვერდზე უნდა განათავსოს ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი EURO 4 დიზელის ყოველდღიური ფასის შესახებ. ეს ინფორმაცია უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადაში თითოეული დღის ფასის ნახვა. გამარჯვებულმა მიმწოდებელმა ასევე ყოველი სამუშაო დღის დასაწყისში უნდა მიაწოდოს სატენდერო კომისიას ინფორმაცია მის საცალო რეალიზაციის ქსელში არსებული 1 ლიტრი EURO 4 დიზელის ყოველდღიური ფასის შესახებ ელექტრონული ფოსტის მისამართზე oil2013@spa.gov.ge.

3.6 ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2013 წლის 31 დეკემბერს. კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე EURO 4 დიზელის მიწოდება ხდება 2013 წლის 1 იანვრიდან.